

ნომენკლატურაში რეგისტრირდება საქონელი და მომსახურება, რომლებზეც კომპანია საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს ოპერაციებს.

ცნობარის ელემენტის შექმნა შესაძლებელია როგორც მანუალურად (ხელით), ასევე პაკეტურად ცხრილური დოკუმენტებიდან მონაცემების ჩატვირთვის დამუშავების გამოყენებით ([როგორ ჩავტვირთოთ გარე ფაილიდან მონაცემები](#)).

ნომენკლატურის შექმნა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების, გაყიდვების ან საწყობის ქვესისტემა
- საცნობარო ინფორმაციის ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „ნომენკლატურა“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- აირჩიეთ ნომენკლატურის ტიპი: **საქონელი** (შესყიდვა, გაყიდვა, ნაშთების აღრიცხვა) ან **მომსახურება** (შესაძლებელია მხოლოდ შესყიდვა და გაყიდვა)
- შეიყვანეთ ნომენკლატურის დასახელება და სრული დასახელება
- აირჩიეთ **დღგ-ის განაკვეთი**, რომელიც გამოიყენება ნომენკლატურაზე შესყიდვის და გაყიდვის ოპერაციებისას
- სურვილისამებრ შეიყვანეთ არტიკული და შტრიხკოდი (მისაწვდომია მხოლოდ საქონლის შემთხვევაში)
- ასევე შეგიძლიათ ნომენკლატურაზე დაადგინოთ ფასი ([როგორ დავადგინო ნომენკლატურაზე ფასი](#))
- ნომენკლატურის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

Note შესაძლებელია ნომენკლატურაზე რამდენიმე შტრიხკოდის დარეგისტრირება და ოპერაციების განხორციელებისას შტრიხკოდის სკანერის გამოყენება ([როგორ გამოვიყენო შტრიხკოდები ოპერაციების გაფორმებისას](#))

ჩანთა - Lenovo Simple Backpack Black (ნომენკლატურა) *

ჩანთა და დახურვა

ჩანთა

ქ

კიდევ ▾

მთავარი იმპორტი ნომენკლატურის აქტივობა სპეციფიკაციები

საქონელი მომსახურება

დასახელება: ჩანთა - Lenovo Simple Backpack Black

სრული დასახელება: Lenovo Simple Backpack Black

დედ-ის განაკვეთი: ჩვეულებრივი ▾

ჯგუფი: ▾

მტრისკოდი:

არტიკული: კოდი: 000282

▼ აღრიცხვის პარამეტრები

ზომის ერთეული: ცალი ▾ [მეფუთვები](#)

წონა: კგ

დედ-ის მუხლი: მიწოდება კომპენსაციით ▾ [+ ახალი...](#)

▼ ანგარიშები

მარაგების აღრიცხვის ანგარიში: ▾

შემოსავლების აღრიცხვის ანგარიში: ▾

ხარჯების აღრიცხვის ანგარიში (საქონლის): ▾

დარიცხული დედ-ის ანგარიში: ▾



აღრიცხვის პარამეტრები

დანაყოფში „აღრიცხვის პარამეტრები“ შესაძლებელია ნომენკლატურის ძირითადი საზომი ერთეულისა და მისი შესაბამისი წონის მითითება.

ძირითადი ზომის ერთეული ეთითება ველში „ზომის ერთეული“. აღნიშნული ველი ნომენკლატურის დამატებისას ავტომატურად ივსება მნიშვნელობით „ცალი“. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა მისი ცვლილება, მომხმარებელი აირჩევს მისთვის სასურველ მნიშვნელობას „ზომის ერთეულების კლასიფიკატორიდან“ (როგორ დავამატო ზომის ერთეულის კლასიფიკატორი).

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ნომენკლატურაზე ოპერაციების განხორციელება ძირითადი ერთეულისგან განსხვავებულ ერთეულში (ერთეულებში) შესაძლებელია დავარეგისტრიროთ რამდენიმე საზომი ერთეული ([ნომენკლატურაზე საზომი ერთეულების დამატება](#)).

ანგარიშები

ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშები ივსება ავტომატურად, პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით, თუმცა მათი რედაქტირება ბარათზე შესაძლებელია ([ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშები](#)).

ნომენკლატურის აქტივობები

ჩანართზე „ნომენკლატურის აქტივობა“ აისახება მითითებულ პერიოდში ნომენკლატურაზე განხორციელებული ოპერაციები და პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი როგორც რაოდენობრივად ასევე თვითღირებულებით.

როგორ დავამატო ზომის ერთეულის კლასიფიკატორი

ზომის ერთეულების კლასიფიკატორი საერთოა ყველა ნომენკლატურისათვის და ის ბაზის საწყისი შევსებისას ავტომატურად ივსება ყველა ისეთი ერთეულით, რომელიც რეგისტრირებულია RS.ge-ზე. თითოეულ ერთეულს ეთითება უნიკალური კოდი (ID), რომლითაც ის რეგისტრირებულია RS.ge-ზე. თუმცა შესაძლებელია ახალი ზომის ერთეულის დამატებაც:

- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- შეიყვანეთ დასახელება
- კლასიფიკატორის ID-ში შეიყვანეთ 99
- ზომის ერთეულის კლასიფიკატორის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

Note: კოდი 99 განკუთვნილია ისეთი ერთეულებისათვის, რომლებსაც არ არის რეგისტრირებული RS.ge (მაგალითად ყუთი). ამ კოდით შესაძლებელია ბაზაში არსებობდეს რამოდენიმე ერთეული, რომელიც RS.ge დოკუმენტის ატვირთვისას გაიგზავნება როგორც „სხვა“.

როგორ დავამატო შეფუთვის ერთეული ნომენკლატურაზე

- დააჭირეთ ბმულს „შეფუთვები“
- გამოსულ ფანჯარაში დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- შეიყვანეთ დასახელება
- შეიყვანეთ კოეფიციენტი (ერთი შეფუთვა ძირითადი საზომი ერთეულის რა რაოდენობას შეიცავს)
- შეფუთვის ზომის ერთეულის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

შენიშვნა: შეფუთვების დამატება ნომენკლატურისათვის შესაძლებელია მხოლოდ მისი ჩაწერის შემდეგ.

ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშები

ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშები გამოიყენება დოკუმენტებში ნომენკლატურასთან დაკავშირებული ანგარიშების ავტომატურად შესავსებად.

ნომენკლატურის ბარათზე, ღილაკზე „ანგარიშები“ დაჭერით ჩამოიშლება დანაყოფი, სადაც განთავსებულია ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშების შესაბამისი ველები. ყველა ანგარიში ივსება ავტომატურად პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით, თუმცა მათი ცვლილება შესაძლებელია.

თითოეული ანგარიშის არჩევის ფანჯარა გაფილტრულია შესაბამისი კლასის ბუფალტრული ანგარიშებით.

ნომენკლატურის ტიპების მიხედვით იცვლება ანგარიშების შემადგებლობა.

საქონელი:

| ანგარიში | აღწერა | კლასი |
|--|--|---------------|
| მარაგების აღრიცხვის ანგარიში | ანგარიშზე აისახება საქონლის მოძრაობა და ნაშთები | მარაგები |
| შემოსავლების აღრიცხვის ანგარიში | ანგარიშზე აისახება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი | შემოსავლები |
| ხარჯების აღრიცხვის ანგარიში (საქონლის) | ანგარიშზე აისახება რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | ხარჯები |
| დარიცხული დღგ-ის ანგარიში | ანგარიშზე აისახება საქონლის რეალიზაციაზე დარიცხული დღგ-ის ანგარიში | დარიცხული დღგ |

მომსახურება:

| ანგარიში | აღწერა | კლასი |
|--|--|---|
| ხარჯების აღრიცხვის ანგარიში (მომსახურების) | ანგარიშზე აისახება შექმნილი მომსახურების თანხა | ხარჯები, ზოგადი, დამატებითი ხარჯები, წარმოება |
| შემოსავლების აღრიცხვის ანგარიში | ანგარიშზე აისახება მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი | შემოსავლები |
| დარიცხული დღგ-ის ანგარიში | ანგარიშზე აისახება მომსახურების რეალიზაციაზე დარიცხული დღგ-ის ანგარიში | დარიცხული დღგ |